

**"დიდი მონაცემების" (BIG DATA) დამუშავების სამართლებრივი  
ასპექტები ქართულ კანონმდებლობაში**

**ირაკლი მელქაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

**საჯარო სამართალი და პოლიტიკა**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორი კახაბერ გომაძე**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2019**

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი მელქაძე

1 ივლისი 2019 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება „დიდი მონაცემების“ (Big data) დამუშავების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, როგორც ევროპული, ისე ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე. ასევე გამოკვლეულ იქნება ამ კუთხით ახალი საკანონმდებლო ცვლილებების მიერ შემოთავაზებული სამართლებრივ რეალობა.

ციფრული რევოლუციის შედეგად დიდი მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიებმა შექმნა ახალი პარადიგმა, რომელიც წარმოაჩენს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით არსებულ პრობლემებს, რომლის ერთმნიშვნელოვანი და უპირობო გადაჭრის გზები ხშირ შემთხვევაში არც კი არსებობს. რაც განპირობებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის სიახლითა და აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული კვლევებისა თუ სასამართლო გადაწყვეტილებების სიმცირით, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომი მოიცავს დიდი მონაცემების, როგორც ახალი ფენომენის დეფინირებას, მისი დამუშავების ტექნიკური და ეთიკური კრიტერიუმების განსაზღვრის აუცილებლობას. ასევე განიხილავს მასთან დაკავშირებულ თითოეული გამოწვევის მნიშვნელობას და ხარისხს. წინამდებარე კვლევა, გვთავაზობს პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიების გაზრდის არაერთ არგუმენტს დიდი მონაცემების ეპოქაში.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ის ხარვეზები რაც დიდი მონაცემების დამუშავებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვას უკავშირდება და გამოავლინოს საფრთხეები, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პერსონალურ მონაცემთა ქვეყნიდან უკონტროლო გადინებამ და ასევე თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ რაოდენობის მონაცემების გლობალური კორპორაციების ხელში თავმოყრამ.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების მიერ დიდი მონაცემების საგამოძიებო მიზნებისთვის დამუშავების კვლევა.

აღნიშნული საკითები წარმოადგენს ნაშრომში განხილულ ძირითად თემებს, რომელთა შეფასებით შესაძლებელი იქნება დიდ მონაცემებთან დაკავშირებულ პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირება და ამ გლობალური ფენომენის უფრო ზუსტი მუშაობის პრინციპების გააზრება სამართლებრივი პრიზმიდან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** დიდი მონაცემები, პერსონალური მონაცემები, პროფილირება, მონაცემთა კოლონიალიზმი

## **abstract**

Following Master thesis will discuss legal aspects of data processing in the midst of current big data development, by analyzing both Georgian and European evolving legal frameworks. Furthermore, this work will explore expected changes on the horizon in related legislation fields.

As a result of the digital revolution, big data processing technologies created a new paradigm, which showcases emerging problems with regards to personal data protection, that doesn't seem to have any direct and definite solutions. This is due to the novelty of given field of law and scarcity of practical research & Court decisions similarly on national and international levels.

The work encompasses the definition of big data as a new phenomenon and reviews the necessity of determination of the technical and ethical criteria for processing. Moreover, it considers the importance and quality of each challenge associated with this steps. The thesis offers several arguments on how to increase the protection of personal data in a big data era. The goal of given work is to indicate to the present gaps in law which are related to the protection of personal data while processing large amounts of data and reveal the threats that can be triggered by uncontrolled flow of personal data from the country and consequently the outcomes that follow accumulation of considerable amount of data in the possession of global corporations.

It is important to note that the intention of this work is not to examine the usage and processing of big data by Law Enforcement and Investigative authorities for research investigative purposes.

Mentioned topics represent the main issues that are discussed in the thesis, the evaluation of which will help to identify potential problems related to big data and to understand precisely the working principles of this global phenomenon from the legal prism.

**Key words:** big data, personal data, profiling, data colonialism